

# ვალდებულებითი სამართალი

---

ზიანი

ლაშა თვარაძე

## სარჩევი

ზიანი, ზიანის სახეები.....	3
მიზეზობრივი კავშირი .....	5
ზიანის ანაზღაურების დაკისრება .....	6
პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები.....	10
სასამართლო გადაწყვეტილება.....	12
ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.....	13
დასკვნა .....	17
გამოყენებული ლიტერატურა .....	18

## ზიანი, ზიანის სახეები

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურების, პირგასამტეხლოს გადახდის, ბეს დაკარგვის ფორმით და სხვა. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ამ ფორმათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **ზიანის ანაზღაურებას**.<sup>1</sup> ზიანის ანაზღაურებას საერთო მნიშვნელობა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გამოიყენება ვალდებულებით ყოველგვარი დარღვევის დროს (გარდა კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), თუნდაც კონკრეტული ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები არ მიუთითებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე. სამოქალაქო სამართლის ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი, ზიანის წარმოქმნისას სუბიექტების სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობისა და მისი ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს **სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს**. **სახელშეკრულებო ზიანი** შეიძლება მიყენებულ იქნეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობით. **არასახელშეკრულებლოდ ითვლება ზიანი**, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, რომლის დროსაც მხარეები არ იყვნენ ერთმანეთთან ვალდებულებით ურთიერთობაში. ცნობილია ასევე ზიანის სხვაგვარი კლასიფიკაცია, მაგ: ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანი; საკონპენსაციო და მორატორიული ზიანი, რეალური (დადებითი) ზიანი და მიუღებელი შემოსავალი, პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი.

ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს. **ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებადი ზიანი**. ზიანი ,

---

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - 394-ე მუხლი

რომელის ანაზღაურებაც შეუძლებელია, ვერ ჩაითვლება ასეთად, არ ანაზღაურდება უმნიშვნელო ზიანი. როგორც ზემოთ იქნა ხსენებული ცნობილია სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანი. სახელშეკრულებო ზიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევის შედეგია. მაგ: გამყიდველი, რომელმაც მყიდველს მიაწოდა უხარისხო პროდუქცია, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ამით მიყენებული ზიანი. ასევე არასახელშეკრულებო ზიანის მაგალითია დელიქტური ზიანი, რომლიც შედეგად მოსდევს დაზარალებულის აბსოლიტური უფლების დარღვევას. სამოქალაქო კოდექსი ასევე იცნობს **ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს**.<sup>2</sup> ქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება, მასინ როცა არაქონებრივი ზიანი არაქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება, მასინ როცა არაქონებრივი ზიანი არაქონებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგასაც წარმოადგენს, კერძოდ ისეთისა, რომელიც არაა სამოქალაქო ბრუნვის საგანი. იმის მიხედვით, თუ ვალდებულების დარღვევა რა სახით ახდება, ცნობილია **საკომპენსაციო და მორატორული ზიანი**. პირველი ესაა ზიანი, რომელიც შედეგად მოსდევს ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობას, მეორე სახის ზიანი, კი მოვალის მხრიდან შესრულების ვადის გადაცილებას ახლავს ხოლმე. მათ შორის მთავარი განსხვავება იმაშია, რომ თუკი საკომპენსაციო ზიანისას გამორიცხულია იმავდროულად ვალდებულების შესრულება, მორატორული ზიანი ამას არ გამორიცხავს. სამოქალაქო კოდექსი ასევე იცნობს რეალურ ზიანსა და მიუღებელ შემოსავლებს, პირდაპირ და არაპირდაპირ ზიანს და ა.შ

ასევე აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ **მატერიალურ და მორალურ ზიანს**. მატერიალური ზიანი ყოველთვის დაკავსირებულია დაზარალებულის ქონებრივ დანაკარგებთან, მორალური ზიანი კი არა. მორალური ზიანი გარკვეულ სულიერ განცდებთან, ტანჯვასთანაა დაკავშირებული და მისი ფულადი ანაზღაურება შეუძლებელია მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებულია, რომ თუ პირის პატივის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, მას შეუძლია მოიტხოვოს ზიანის ანაზღაურება.

---

<sup>2</sup> ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, გვ-23

ზიანის ანაზღაურება პირველადი მდგომარეობის აღდგენით შეიძლება შეუძლებელ იქნეს ან მოითხოვდეს არათანაზომიერად დიდ დანახარჯებს. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. რაც მთავარია ზიანი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით უნდა იყოს მიყენებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლწინააღმდეგობა ასევე შეიძლება უმოქმედობითაც იყოს ჩადენილი. მაგალითად, როცა მოვალე არ ასრულებს იმ მოქმედებას, რომლის შესრულებაც ვალდებულებით ეკისრებოდა. იმისთვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების სახით, თითოეული კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების (უმოქმედობის) შედეგს. ე.ი. არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი მოვალის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა (უმოქმედობასა) და კრედიტორის ზიანის შორის. მაგალითად, თუ გამყიდველმა მყიდველთან (მიმღებთან) დაზიანებული მივიდა. აუცილებელია იმის გარკვევა, თუ ვინ მიაყენა ზიანი კრედიტორს.

### მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის აუცილებელი ერთ-ერთი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით იქნება გამოწვეული. „აუცილებელი პირობის“ თეორიის თანახმად,<sup>3</sup> ნებისმიერი პირობა დამდგარი შედეგის მიზეზია, თუკი იგი ისეა დაკავშირებული ამ შედეგთან, რომ მისი არარსებობის შემთხვევაში ეს შედეგი არ დადგებოდა. ასეთ ვითარებაში ამ პირობათა ერთობლიობა წარმოადგენს შედეგის საერთო მიზეზს, ხოლო თითოეული მათგანი კი კერძო მიზეზს. ამ თეორიით ძნელდება მართლსაწინააღმდეგო შედეგის ნამდვილი მიზეზის დადგენა. იგი მიზეზობრიობას განიხილავს, როგორც ერთიან ჯაჭვს, რომელშიაც ყველა პირობას თავისი რგოლი აკისრია. მეორე თეორიის მიხედვით რომელსაც „ადეკვატური მიზეზობრიობის“<sup>4</sup> თეორიას უწოდებენ, ერთ-ერთი პირობაც შეიძლება აღმოჩნდეს საკმარისი შედეგის მიზეზად, პირობა რომელიც ქმნის მიდი დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას. ეს თეორიები გამოიყენებოდა გერმანიაა და ავსტრიაში. რაც შეეხება საქართველოს, სამოქალაქო კოდექსის

<sup>3</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ლ.ჭანტურია, ბ.ზოიძე), წინგი მე-3, თბ., 2001 წ.

<sup>4</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ლ.ჭანტურია, ბ.ზოიძე), წინგი მე-3, თბ., 2001 წ.

412-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, „უშუალო მიზეზის“<sup>5</sup> რომ ქართული სამართალი პოზიციაზეა, რაც „ადეკვატურ მიზეზისაგან“ ბევრად არაფრით განსხვავდება. უფრო მეტიც, ვინაიდან ანაზღაურებადია მოვალისთვის წინასწარ სავარაუდო ზიანი, ამ კუთხით აქვე შეიძლება დავინახოთ საერთო სამართალში ცნობილი მიდგომებიც. ამ თეორიებიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა რომ, ზიანიც როგორც დანარჩენი ყველაპერი არის მიზეზობრივ კავშირში ადამიანის ქმედებასთან, რომ არა ადამიანის ჩადენილი ქმედება არც ზიანი იარსებებდა.

### ზიანის ანაზღაურების დაკისრება

ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა უშუალო კავშირშია ვალდებულების წარმოშობასთან, რადგან სწორედ კანონისმიერი და სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობისას შეიძლება პირს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება პირს შეიძლება დაეკისროს **დელიქტური**<sup>6</sup> ვალდებულების წარმოშობისას. დელიქტური ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოიშობა და ამ დროს მხარეთა წინასწარი შეთანხმება ზიანის ანაზღაურების შესახებ საჭირო არ არის. მართლსაწინააღმდეგოდ, ბრალეულად (ან ბრალის გარეშე) სხვისთვის ზიანის მიყენება კანონის ძალით წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. მაგალითად: მრავალბინიან სახლში მეზობელს დარჩა წყლის ონკანი გადაუკეტავი. მოულოდნელად მოსულმა წყლის ჭავლმა დატბორა ბინა, ჩავიდა ქვედა სართულზე და მეზობელს დაუზიანა გარემონტებული ბინა. იმისდა მიუხედავად რომ მხარეებს შორის არ არსებობდა წინასწარი შეთანხმება კანონი ასეთ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელს ავალდებულებს, რომ დაზარალებულს მიყენებული ზიანი აუნაზღაუროს, ვინაიდან იგი დადგა მეზობლის ბრალეული მოქმედების შედეგად. დელიქტური სამართალი ბრალეული პასუხისმგებლობის გარდა ასევე იცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას. ასეთ პასუხისმგებლობა დგება ე.წ საფრთხის დელიქტში, როცა ზიანი მიყენებულია მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ. ასეთად მიიჩნევა თანამედროვე ტექნიკადაზარები, მოწობილობები, კომუნიკაციის საშუალებები, რომლებიც შეიძლება ადამიანის ნებას არ

<sup>5</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ლ.ჭანტურია, ბ.ზოიძე), წინგი მე-3, თბ., 20012 წ.

<sup>6</sup> ქეთევან ქოჩაშვილი, ბრალი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, 2009, #1, 122.

დაემორჩილოს და ზიანი მიაყენოს სხვა პირს. ამრიგად დელიქტურ სამართალში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას როგორც ზიანის მიმყენებლის ბრალით, ისე მისი ბრალის გარეშე, თუკი ზიანი დადგა მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ. **უსაფუძლო გამდიდრება** ანუ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი ქონებრივი სიკეთის დაუფლება ასევე შეიძლება გახდეს კანონიერი ვალდებულებისა და ზიანის ანაზღაურების წარმოშობის საფუძველი.

ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა შეიძლება ასევე წარმოიშვას **მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას**<sup>7</sup>. ვალდებულება ირღვევა მაშინ, როდესაც მოვალე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს თავის მოვალეობას. მაგალითად მაგყიდველმა არ გადასცა მყიდველს გაყიდული ნივთი, მენარდემ არ შეასრულა დაკისრებული სამუშაო და ა.შ რაც შეეხება არაჯეროვან ვალდებულებას, ამ შემთხვევაში ვალდებულება სრულდება უფლო ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში კრედიტორისთვის. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის. მაგ: მოვალეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ ამის შესახებ მხარეები შეთანხმდებიან და თუ ასეთი შეთანხმება კანონით არ არის აკრძალული. ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი გავრეცელებული სახეა. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულად ჩაითვლება, თუ შესრულებისათვის დადგენილ დროში მოვალ ვალდებულებას არ შეასრულებს მიუხედავად იმისა, კრედიტორმა მოთხოვნა წარადგინა თუ არა. კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი დრო. მოვალის მიერ ამ დროში ვალდებულების შეუსრულებლობისას, კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება. დამატებითი დროის განსაზღვრა საჭირო არ არის მაშინაც, როცა სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებენ ზიანის

<sup>7</sup> შ., ჩიკაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, 185.

ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ გამოყენებას. მაგალითად, თუ ძირითადი ვადის გასვლის შემდეგ მოვალისთვის ვალდებულების შესრულება უფრო მძიმეა, ვიდრე ზიანის ანაზღაურება და ამასთან კრედიტორი აღარაა დაინტერესებული ვალდებულების შესრულებით. მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისთვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსაიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს. მოვალეს ვადის გადაცილების დროს პასუხისმგებლობა ეკისრება ასევე შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლება დამდგრიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც. თუ მან ეს ვერ დაამტკიცა მაშინ მას ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ეკისრება. ასევე აღსანიშნავია, რომ თუ მოვალემ გადააცილა ფულადი თანხის გადახდის ვადას, გადაცილებული დროისთვის მან უნდა გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი.

ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მოვალეს **ვალდებულების შესრულების საგნის შეცვლისას**. მაგალითად თუ შესრულების საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია, კრედიტორი არაა ვალდებული მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების. მაშასადამე თუ კონკრეტული ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის ნატურით გადაცემა შეუძლებელია, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ზიანის ანაზღაურება. ასევე ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოიშვას **ვალდებულების შესრულების ადგილის<sup>8</sup> შეცვლისას**. საქმე იმაშია, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს სათანადო ადგილას. ვალდებულების შესრულების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულებით, კანონით ანდა გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან. თუ შესრულების ადგილი განსაზღვრული არ არის და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ, შესრულების ადგილი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი საგნების გადაცემას ეხება საკითხი, ანუ ინდივიდუალურ თუ გვაროვნულს. კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ვალდებულების შესრულებამდე იცვლება მოვალის ან კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი, რაც იწვევს ხარჯების გაზრდას. სწორედ ასეთი შემთხვევების დროს წარმოიშობა ზიანის ანაზღაურების

---

<sup>8</sup> ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, 156

პასუხისმგებლობა. ვალდებულების შესრულების წინ მოვალის საცხოვრებელი ადგილის ან საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლისას მოვალემ უკრედიტორს უნდა აუნაზღაუროს ის დამატებითი ხარჯები, რაც ადგილის შეცვლამ გამოიწვია. ხოლო თუ ვალდებულების შესრულებამდე იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი და ამის გამო იზრდება ხარჯები ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ კრედიტორს ეკისრება როგორც გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება, ისე საგნის გადაცემის მოსალოდნელი ხარჯების ანაზღაურება, ისე საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკი.

ასევე კიდევ ერთი საფუძველი რის შედეგადაც შეიძლება ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა დაეკისროს პირს ეს არის **კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება**. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად იტვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის შესრულების ვადა დამდგარია. კრედიტორი ვალდებულია შხელი შეუწყოს მოვალეს ვალდებულების შესრულებაში. ამიტომაცაა, რომ ის ვადის გადამცილებლად ითვლება, როცა არ ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, რაც საჭიროა ვალდებულების შესასრულებლად. მაგალითად, კრედიტორმა ვალდებულების შესრულების დღისათვის არ გამოანთავისუფლა სათავსი, რომელშიც უნდა მოთავსდეს მოვალის მიერ გადასაცემი საქონელი. კრედიტორმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგა მოვალეს შესრულებული ვალდებულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო. (სამოქალაქო კოდექსის 391-ე მუხლი) კრედიტორი ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან თავისუფლდება, თუ ვალის გადახდის ვადის გადაცილება მისი ბრალით არ მომხდარა. ზიანის ანაზღაურების გარდა, რაც ეკისრება კრედიტორს, ვადის ბრალეული გადაცილების გამო, კრედიტორი მისი მრალის მიუხედავად ვალდებულია აუნაზღაუროს მოვალეს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები. ვადის გადაცილებისას კრედიტორს მისი ბრალის მიუხედავად აღარ აქვს ფულადი ვალდებულებისთვის პროცენტის მიღების უფლება და მასვე ეკისრება ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკი. ზიანის ანაზღაურება წარმოიშობა ასევე **ხელშეკრულებიდან გასვლისას**. თუ ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება მოვალის ბრალით და ამ დროს კრედიტორს მიადგება ზიანი, მას უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

### *ზიანის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები*

როდესაც განვიხილავთ ზიანს, აუცილებელია შევხვით ზიანის გამომრიცხავ საკითხებს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური არის **დაუძლეველი ძალა**. დაუძლეველია გარემოება, რომელიც შესრულებას შეუძლებელს ხდის და არა დამამძიმებელს. ეს ისეთი მოვლენაა, რომლის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია. დაუძლეველი ძალის მოქმედება იწვევს ვალდებულების შესრულების ობიექტურ შეუძლებლობას. ამ მნიშვნელობით სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენება „**ფორს-მაჟორული გარემოებანი**“. ამ საკითხთან დაკავშირებით ცივილისტურ დოქტრინაში ძირითადად ორი მიმართულება გამოიკვეთა: პირველისთვის მთავარია ამ მოვლენის ობიექტური ხასიათი, ხოლო მეორესთვის-სუბიექტური. პირველი თეორიის მიხედვით დაუძლეველ ძალას წარმოადგენს: სტიქიური უბედურებანი (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი და ა.შ.); სოციალური მოვლენები (ონი, რევოლუცია, აჯანყება); მოკლედ ისეთი მოვლენები რომლის თავიდან აცდენაც მოვალეს არ შეუძლია და რომელიც მისთვის გარეგანი ხასიათისაა; მეორე თეორია ამ მოვლენების შეფასებისას ამოდის იქიდან, თუ რამდენადაა შესაძლებელი მაქსიმალური ძალისხმევის შემთხვევაში მისი თავიდან აცილება. თუკი მოვალემ ხელშეკრულების დადებისას იცოდა, რომ დადგებოდა გარემოებანი, რომლებიც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას გამოიწვევდა, ასეთ შემთხვევაში ის არ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს მთელ რიგ შემთხვევებს, როდესაც დაუძლეველი ძალის ვითარებაშიც შეიძლება მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა. ეს შეიძლება გათვალისწინებული იყოს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით. მაგ“ საჰაერო ხოლამდის მფლობელს პასუხისმგებლობას აკისრებს მგზავრზე მიყენებული ზიანისთვის, მაშინაც კი როცა ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით. საერთაშორისო სავაჭრო პალატამ შეიმუშავა ფორს-მაჟორულ გარემოებათა დეტალურ ჩამონათვალი, ესეთი გარემოებებია: გამოცხადებული და გამოუცხადებელი ომი, მათ შორის-სამოქალაქო ომი, უწესრიგობა, რევოლუციები, მეკობრეობა, საბოტაჟი, სტიქიური უბედურებანი, როგორცაა:ქარიშხალი, ციკლონი, მიწისძვრა, ცუნამი, წყალდიდობა. აფეთქებანი, ხანძარი, ბოიკოტი, გაფიცვა, ფაბრიკებისა და სათავსოების ოკუპირება და

სამუშაოს შეჩერება იმ მხარის საწარმოებში, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პრეტენზია;

ზიანის პასუხისმგებლობისგან თავის არიდება ასევე შეიძლება, თუკი შესრულების შეუძლებლობას ექნება ადგილი. მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ცალკე არ აწესრიგებს შესრულების შეუძლებლობის პრობლემას. საქმე იმაშია, რომ შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში აისახება გარიგების, ბრალეულობის, შეცვლილი გარემოებებისა და დაუძლეველი ძალის მომწესრიგებელ ნორმებში. ყველა შემთხვევაში, შესრულების შეუძლებლობა დაკავშირებულია ამა თუ იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებთან. მისი თვისება ისაა, რომ შესრულების შეუძლებლობა ყველა შემთხვევაში ათავისუფლებს მხარეს ვალდებულებისაგან. შესრულების შეუძლებლობა შეიძლება იყოს **სუბიექტური** და **ობიექტური**. ობიექტური მაშინ გვაქვს, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია არა მარტო მოცემული მოვალისათვის, არამედ სხვა ნებისმიერი პირისათვისაც. თუკი ზლიერი და ნაადრევი ყინვის გამო მდინარე ადრე გაიყინა და გადამზიდველი ვერ გადაიტანს ტვირთს დანიშნულების ადგილამდე, ეს არის ობიექტური შეუძლებლობა. რაც შეეხება სუბიექტურს, სუბიექტური შეუძლებლობა მაშინაა, როდესაც იგი დაკავშირებულია მოვალის პიროვნებასთან, მის ფიზიკურ, ინტელექტუალურ, ემოციურ თუ სხვა უუნარობასთან. შესრულების შეუძლებლობა ასევე შეიძლება იყოს **საწყისი** და **შემდგომი**. ასეთი დაყოფა არსებითად დროის ფაქტორზეა დამოკიდებული. თუკი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი იყო მისი დადების მომენტიდანვე, ასეთი შეუძლებლობა საწყისი შეუძლებლობა იქნება. ხოლო თუკი შემდგომში გახდება შესულება ასეთი, მაშინ შემდგომი შეუძლებლობა გვექნება სახეზე. როგორც ერთი, ისე მეორე, შეიძლება არსებობდეს, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური შეუძლებლობის სახით. შესრულების შეუძლებლობა იყოფა ასევე **ბუნებრივ** და **იურიდიულ** შესაძლებლობად. ბუნებრივ შეუძლებლობას ფიზიკურ შეუძლებლობასაც უწოდებენ. აქ ისეთ შემთხვევა გვაქვს როცა შესრულება შეუძლებელი ხდება შესრულების საგნის განადგურების, ანდა ვთქვათ, მოვალის სიკვდილის გამო. ასეთი შეუძლებლობა შეიძლება იყოს როგორც საწყისი, ისე შემდგომი. იურიდიული შეუძლებლობის შემთხვევაში ფაქტობრივად (ფიზიკური აზრით) ვალდებულების შესრულება შესაძლებელია,

მაგრამ უფლებრივი თვალსაზრისითაა ამაო. ასე მაგალითად სახელმწიფო თავისი ადმინისტრაციული აქტით კრძალავს იმ მოქმედების შესრულებას (მაგალითად საქონლის ექსპორტს), რაც ხელშეკრულების საგანს შეადგენს, ანდა სხვაგვრად აბრკოლებს შესრულებას. და ბოლოს რაზეც მინდა შესრულების შეუძლებლობის შესახებ გესაუბროთ ეს არის მისი **ეკონომიური** ხასიათი. ამ ბოლო ხანებში ცივილისტური დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა „ეკონომიური შეუძლებლობის“ სასარგებლოდ მეტყველებენ. ასეთი შეუძლებლობა მაშინაა, რომდესაც ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი ხდება ისეთ გარემოებათა შედეგად (როგორცაა ფულის ინფლაცია, პროდუქციის ფასების ზრდა და ა.შ.), რომლიც დროსაც სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს შესრულების სუბიექტს. ეს ვითარება არსებითად გარემოებათა შეცვლის ტოფასია, რაც ქართული სამოქალაქო კოდექსით საფუძვლიანადაა მოწესრიგებული. ცნობილია ასევე შესრულების **ხანგრძლივი და დროებითი შეუძლებლობა, სრული და ნაწილობრივი შეუძლებლობა.**

აღსანიშნავია, რომ მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ **განზრახი** ან **გაუფრთხილებელი** მოქმედებით მიყენებული ზიანისთვის, თუ სხვა რა არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. (395-მუხლი). აქედან გამომდინარე პირი (მოვალე ან კრედიტორი) რომელიც ჩაიდენს ქმედებას რომელიც არ არის არ განზრახ ჩადენილი და არც გაუფრთხილებლობით იგი გათავისუფლებული იქნება პასუხისმგებლობისაგან. ასევე დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლებისათვის შესახებ. ეს წესი დამკვიდრებულია რადგან, იგი აბათილებს იმას რო ვალდებულება აუცილებლად უნდა შესრულდეს, რადგან თუ ხელშეკრულებაში ეს პუნქტი ჩაიწერა არანაირი კანონი აღარ დაიცავს დაზარალებულ მხარეს, რომელიც უფლებებიც დაირღვა.

## სასამართლო გადაწყვეტილება<sup>9</sup>

### ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

2000 წლის 3 იანვარს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა დავით ოდიშვილმა მოპასუხეების თამარ და მერაბ ბუაძეების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ნასყიდობის თანხის-60 000 აშშ დოლარის მოპასუხეებისათვის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:

1997 წლის ოქტომბერში მოსარჩელე მოპასუხეებს შეუთანხმდა, რომ 100 00 აშშ დოლარად შეიძენდა თბილისში, ვაკეში ჭავჭავაძის 45-ში მდებარე მოპასუხეთა განკუთვნილ საცხოვრებელ სახლს, ასევე იყიდიდა ბინაში არსებულ ავეჯს 5 000 აშშ დოლარად. მთლიანობაში დავით ოდიშვილს მოპასუხეებისთვის უნდა გადაეხადა 105 000 აშშ დოლარი. 1997 წლის 13 ოქტომბერს მოსარჩელემ მოპასუხეებს გადაუხადა 30 000 აშშ დოლარი და შეუთანხმდა, რომ დარჩენილ თანხას ნაწილნაწილ გადაიხდიდა. მოგვიანებით, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, დავითმა ქალბატონ თამარსა და ბატონ მერაბს კიდევ გადაუხადა 30 000 აშშ დოლარი. დარჩენილი 45 000 აშშ დოლარის გადახდა ვერ შეძლო, რაზეც მოპასუხეები გაუნაწყენდნენ, მონახეს სხვა მყიდველი და გაასხვისეს ბინა, ხოლო 60 000 დოლარის დაბრუნებაზე უარი განუცხადეს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინეს, რომელშიც განმარტეს, რომ 1997 წლის 13 ოქტომბერს თამარ ბუაძესა და დავით ოდიშვილს შორის გაფორმდა მარტივი წერილობითი ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, დავით ოდიშვილს უნდა ეყიდა თბილისში, ჭავჭავაძის 45-სკი მდებარე თამარ ბუაძის კუთვნილი ბინა 70 000 დოლარად. ზიანის ღირებულება ბატონ დავითს უნდა გადაეხადა 1997 წლის 1 ნოემბრიდან 1998 წლის 30 მაისამდე. ბატონმა დავითმა ხელწერილის გაფორმებისთანავე ბეს სახით გადაიხადა 10 000 დოლარი, რის შედეგადაც თამარ ბუაძემ გადასცა ბინა ავეჯით გამოსყიდვამდე დროებით სარგებლობაში. დავითმა ბინა

<sup>9</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2009 გვ.255

გამოიყენა თავისი კომერციული მიზნების განსახორციელებლად, გახსნა სასტუმრო და იღებდა სარგებელს 1998 წლის 15 აპრილს ქალბატონი თამარი მოყვა ავარიაში. დავითმა ისარგებლ მისი მძიმე მდგომარეობით და ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად 1998 წლის ოქტომბერში ბინა მოპასუხეებს უკანვე დაუბრუნა. ბინის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანას საკმაო თანხა დასჭირდა, რამაც მოპასუხეები საგრძნობლად დააზარალა. შეგებებული სარჩელის ავტორებმა მოითხოვეს დავით ოდიშვილის მიერ მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება 41 400 დოლარის ოდენობით, ასევე ბოდიშის მოხდა და ხელწერილის ჩამორთმევა, რომ მომავალში მათ ოჯახს აღარ მიაყენებდა მორალურ თუ ეკონომიკურ ზიანს.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულში სასამართლოს 200 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით დავით ოდიშვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა-თამარ და მერაბ ბუაძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 37 200 დოლარის გადახდა, 22 800 დოლარის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა- გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება ოდიშვილის სასარგებლოდ ბუაძეებს დაეკისრათ 17 200 დოლარ.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბუაძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის 2001 წლის 12 დეკემბრის განჩინებით ბუაძეების საკასაციო სარჩელი დაკმაყოფილდა. უზენაესმა სასამართლომ 1997 წელს ბუაძეების მიერ წარდგენილი ფაქტების მეშვეობით დავით ოდიშვილს დააკისრა 69 000 დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახვა.

ეს გადაწყვეტილება შემდეგ გაასაჩივრა დავით ოდიშვილმა იგივე საკასაციო უფლებით. მრახებებს შორის არსებული დავა გრძელდებოდა 2009 წლის 12 ივნისამდე, როდესაც საკასაციო პალატამ მიიღო გადაწყვეტილება. ამ დროის განმავლობაში მხარეები მოითხოვდნენ ერთმანეთისგან ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის რომ დავით ოდიშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. ეს გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო შემდეგ გარემოებათა გამო:

განხილვის საგანს წარმოადგენს საკითხი დავით ოდიშვილის მიერ თამარ და მერაბ ბუაძის საკუთრებაში არსებული ბინის სასტუმრდ გამოყენების ფაქტი და აღნიშნულის შედეგად დავითის მიერ მიღებული სარგებლის ოდენობა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებაზე, რომელშიც მითითებულია, რომ ჯერ კიდევ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 3 აპრილს განჩინებით სააპელაციო სასამართლოს მიეცა მითითებები, რომ დღიური სარგებლის-60 დოლარის განსაზღვრისას მხედველობაში მიეღო ის გარემოება, რომ საფასური, რომელშიც შედიოდა ის ხარჯები, რომელსაც სასტუმროს მეპატრონე ეწეოდა (აუზმე, მომსახურე პერსონალის ხელფასი, სინათლისა და გათბობის გადასახადები და სხვ.) საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასტუმროს მეპატრონის ხარჯებში, ასევე იგულისხმება ქირით მიღებული შემოსავლის გადასახადი (საშემოსავლო გადასახადი) რომლის განაკვეთს შეადგენს მიღებული შემოსავლის 20%-13 769 დოლარის ეკვივალენტი ლარი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 797-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად ოდიშვილის მიერ სადავო ბინის გაქირავებით მიღებული სარგებელი წარმოადგენს 55 231 დოლარს (69 000 – 13 769 – 55 231). რაც მას უნდა დაეკისროს ბუაძეების სასარგებლოდ. ამასთან ერთად საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ოდიშვილის სასარგებლოდ ბუაძეებისთვის 53.866 დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების კანონიერ გადაწყვეტილებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ორ პრს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. ამავე კოდექსის 444-ე მუხლის თანახმად, თუ გასაქვითი მოთხოვნები მთლიანად ვერ ფარავენ ერთმანეთს, იქვითება მხოლოდ ის, რომლის მოცულობაც ნაკლებია მეორე მოთხოვნის მოცულობაზე.

აღნიშნული ნორმების საფუძველზე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით (55 231 – 53 866 =1 365) დავით ოდიშვილს უნდა დაეკისროს ბუამეების სასარგებლოს 1 365 დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

## დასკვნა

შეძლებისდაგვარად ჩამოყალიბდა, თუ რას ნიშნავს ზიანი, რა და რა სახის ზიანის ანაზღაურება არსებობს. ასევე განვიხილეთ და აღვნიშნეთ ის, თუ რა შემთხვევაში შეიძლება პირს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება. განვიხილეთ ზიანის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველები, მაგალითად, დაუძლეველი ძალა, ე.წ. "ფორს-მაჟორული" მდგომარეობა. მაგალითისთვის მოყვანილ იქნა სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც უფრო ნათელს გახდის იმას, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ზიანის ანაზღაურება და როგორ შეიძლება სასამართლომ დაარეგულირობს მხარეებს შორის ურთიერთობა ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

დღესდღეობით ზიანის ანაზღაურება საკმაოდ აქტუალურია. ჩვენ ცხოვრებაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც პირები ერთმანეთის ნივთებს აზიანებენ და ეს ყველაფერი იწვევს ზიანის ანაზღაურებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
2. ზურაბ ახვლედიანი ,ვალდებულებითი სამართალი, თბ.,1999
3. ქეთევან ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა , სამართლის ჟურნალი #1
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, თბ., 2001 ;
5. ჩიკაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998 ;
6. <http://www.nplg.gov.ge>
7. [ka.wikipedia.org](http://ka.wikipedia.org)